პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება (თეორია და საერთაშორისო პრაქტიკა)

WWW.PDPS.GE

გამოცემა შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024 წელი

სარჩევი

შესავალი 1

1. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რეგულირება 2

2. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის განმარტება 4

2.1. „ფიზიკური პირი“ 4

2.2. „აშკარად პირადი მიზანი ან/და ოჯახური საქმიანობა“ 5

2.3. სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან კავშირი 8

2.4. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების განმარტებები 9

3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა 11

3.1. *Lindqvist-ის საქმე* 11

3.2. *Ryneš-ის საქმე* 12

3.3. *Jehovan todistajat-ის საქმე* 13

3.4. *Buivids-ის საქმე* 14

4. სხვადასხვა სფეროებში გამონაკლისის მოქმედება და მისი ფარგლები 15

4.1. სოციალური მედია 15

4.1.1. დამუშავების მიზანი და ბუნება 16

4.1.2. პროფილის ინფორმაციაზე წვდომა 18

4.1.3. მომხმარებლების მიერ მესამე პირთა, მათ შორის, არასრულწლოვნების, მონაცემების დამუშავება 19

4.1.4. საზედამხედველო ორგანოებისა და შიდა სასამართლოების პრაქტიკა 21

4.2. ვიდეომონიტორინგი 25

4.2.1. გამონაკლისის განმარტება ვიდეომონიტორინგის კონტექსტში 25

4.2.2. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა 28

5. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლების გამოვლენის კრიტერიუმები 29

6. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა 31

დასკვნა 32

შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს სფეროებს, სადაც არ ვრცელდება კანონის მოქმედების ფარგლები.[1] კანონის მოქმედების სფეროდან ერთ-ერთ საგამონაკლისო შემთხვევას, ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დამუშავების ანალოგიური შემთხვევა გამონაკლისის სახით, ასევე, გათვალისწინებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით.

პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის არსებობის იდენტიფიცირება განსაკუთრებით კომპლექსურია მაშინ, როდესაც პერსონალურ მონაცემები ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით მუშავდება. მართალია, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდამ და მეტად ფუნქციურმა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებმა მონაცემთა სუბიექტებს მრავალი შესაძლებლობა მიანიჭათ, თუმცა გაიზარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული რისკები და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისთვის ფიზიკურ პირთა მიერ ინტერნეტის გამოყენებიდან გამომდინარე შესაბამისი მიმართვიანობა.[2] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებისგან სრულად გათავისუფლება, საფრთხის წინაშე დააყენებს ინდივიდთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას; თუმცა, საგულისხმოა, რომ ყველა ინტერნეტ მომხმარებელზე კანონის სრული მოცულობით გავრცელება გადაჭარბებული იქნება და შექმნის აღსრულების თანმდევ რისკებს.[3] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გაიმიჯნოს, თუ რა წარმოადგენს ციფრულ სივრცეში საჯარო და კერძო სფეროებს.[4]

კვლევის მიზანია პირად მიზანთან ან/და ოჯახურ საქმიანობასთან დაკავშირებული გამონაკლისის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და ეროვნულ კანონმდებლობასთან მისადაგება. ნაშრომში განხილულია აღნიშნული გამონაკლისის მოქმედების ფარგლები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა თუ ევროპული ქვეყნების მონაცემთა დაცვის

---

[1] იხ. მუხლი 2, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[2] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 3, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

[3] *Douwe Korff*, New Challenges to Data Protection Study - Working Paper No. 2: Data Protection Laws in the EU: The Difficulties in Meeting the Challenges posed by Global Social and Technical Developments, European Commission Directorate-General Justice, Freedom and Security Report, 2010, 8, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1638949> [21.02.2024].

[4] *Gloria González Fuster, Rosamunde Van Brakel, Paul De Hert (eds.),* Research Handbook on Privacy and Data Protection Law, Values, Norms and Global Politics, 2022, 18.

საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა, აგრეთვე, მისი მოქმედება კონკრეტულ სფეროებში, კრიტერიუმები და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიები.[5]

1. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რეგულირება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით,[6] კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ როდესაც მონაცემები პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მუშავდება, ფიზიკურ პირზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები არ ვრცელდება.[7] გამონაკლისის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ფიზიკური პირისთვის დაუსაბუთებელი ვალდებულებების დაკისრება, მის მიერ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობების ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე.[8] ასევე, გასათვალისწინებელია, მსგავსი ტიპის დამუშავების ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების დაბალი დონე.[9]

მნიშვნელოვანია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა ხელს არ უშლიდეს ინდივიდის მიერ ციფრული სივრცით სარგებლობას.[10] ასევე გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდამ შესაძლოა დააყენოს ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებლობის საკითხი, განსაკუთრებით, თუ ამგვარი დამუშავება სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე საზიანო გავლენას ახდენს.[11] ვინაიდან, ყველა ადამიანს გააჩნია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა

---

[5] აღსანიშნავია, რომ კვლევა სარეკომენდაციო ხასიათისაა და ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იტოვებს შესაძლებლობას, რომ, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საკითხები წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებებისგან განსხვავებულად გადაწყვიტოს.

[6] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[7] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 118.

[8] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §27, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[9] *Gloria González Fuster, Rosamunde Van Brakel, Paul De Hert (eds.),* Research Handbook on Privacy and Data Protection Law, Values, Norms and Global Politics, 2022, 17.

[10] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 2, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

[11] იქვე, 7.

დაცვის უფლებები, საერთაშორისო პრაქტიკა და ეროვნული კანონმდებლობა ფიზიკური პირებისთვის პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის ვიწრო განმარტებას ირჩევს.[12]

იმისათვის, რომ მონაცემთა დამუშავება პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისში მოიაზრებოდეს, იგი დაკავშირებული არ უნდა იყოს სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, რომ პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.[13]

პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისს აღიარებს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა. ევროკავშირში მოქმედი მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (“GDPR”) არ ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელსაც ფიზიკური პირი ცალსახად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს.[14] ამასთანავე, GDPR-ის პრეამბულის მე-18 პუნქტში განმარტებულია, რომ რეგულაცია ვრცელდება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ („პასუხისმგებელი პირი“) და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე („უფლებამოსილი პირი“), რომლებიც ქმნიან პირადი ან ოჯახური საქმიანობისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საშუალებებს (მაგ. სოციალური ქსელი/პლატფორმა).[15]

რაც შეეხება ევროპის საბჭოს მიდგომას, „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ” კონვენციამ („108-ე კონვენცია“) წევრი სახელმწიფოებისთვის ღიად დატოვა მონაცემთა დამუშავების გარკვეული ოპერაციების მოქმედების სფეროდან გამორიცხვის შესაძლებლობა,[16] რაც შეიცვალა მოდერნიზებული 108-ე კონვენციით,[17] რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი კონვენციის მოქმედების სფეროდან გამორიცხავს დამუშავებას, რომელიც ხორციელდება პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში. კონვენციის განმარტებით ბარათში, GDPR-ის

[12] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[13] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[14] GDPR-ის მე-2 მუხლის “c” ქვეპუნქტი, 2016, <https://pdps.ge/ka/content/993/saerTaSoriso-regulaciebi> [21.02.2024].

[15] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 118.

[16] *Gloria González Fuster, Rosamunde Van Brakel, Paul De Hert (eds.),* Research Handbook on Privacy and Data Protection Law, Values, Norms and Global Politics, 2022, 17.

[17] 108-ე კონვენციის შესწორების ოქმი CETS No. 223 („მოდერნიზებული 108-ე კონვენცია“), მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 128-ე სხდომაზე, რომელიც 2018 წლის 17-18 მაისს გაიმართა. მასზე მითითება გულისხმობს CETS No. 223 ოქმით შესწორებულ კონვენციას. იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 11.

მსგავსად, ასევე მითითებულია, რომ კონვენციის მოქმედება ვრცელდება მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც ხორციელდება ამგვარი პირადი ან ოჯახური საქმიანობისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავების საშუალებების პროვაიდერების მიერ.[18]

2. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის განმარტება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.[19]

იმისათვის, რომ გამონაკლისი ამოქმედდეს, საჭირო წინაპირობებია:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს <u>ფიზიკური პირის</u> მიერ;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს <u>აშკარად პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში</u>;
- დამუშავება დაკავშირებული <u>არ უნდა იყოს სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.</u>

2.1. „ფიზიკური პირი“

გამონაკლისის გავრცელებისთვის აუცილებელია, რომ მონაცემთა დამუშავება „ფიზიკური პირის“ მიერ განხორციელდეს.[20] ამასთანავე, „ოჯახური საქმიანობის“ ფარგლებში დასაშვებია მონაცემთა დამუშავება ერთზე მეტი ინდივიდის მიერ, მაგალითად, ოჯახის წევრების მიერ საერთო სარგებლობის კომპიუტერით ან პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობა.[21]

---

[18] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §29, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[19] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[20] GDPRhub, GDPR Commentary, Article 4, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_4_GDPR> [21.02.2024].

[21] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

ფიზიკური პირი არის მონაცემთა სუბიექტი ანუ ის პირი, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემი.[22] ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირი მონაცემთა დაცვის წესების ერთადერთი ბენეფიციარია,[23] ხოლო მოდერნიზებული 108-ე კონვენციის შესაბამისად, მონაცემთა დაცვა, ძირითადად, მოიცავს ფიზიკურ პირებს, თუმცა ხელმომწერმა სახელმწიფოებმა იგი თავიანთ კანონმდებლობაში შეიძლება იურიდიულ პირებზეც გაავრცელონ.[24] მიუხედავად ამისა, ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვითაც, პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება.[25] შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება იურიდიული პირების მიერ, სამართლებრივი ფორმის (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, და სხვა) მიუხედავად, არ ექვემდებარება გამონაკლისს და ექცევა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფარგლებში, მაშინაც კი, როდესაც იურიდიულ პირებს არ გააჩნიათ კომერციული ინტერესები.[26]

2.2. „აშკარად პირადი მიზანი ან/და ოჯახური საქმიანობა“

თუ პირი პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში, მასზე მონაცემთა დაცვის წესები არ ვრცელდება. აშკარად პირადი მიზნის ან ოჯახური საქმიანობის ზუსტი განმარტება ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში მოცემული არ არის,[27] თუმცა სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზეა შესაძლებელი მისი განმარტება.[28]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”)[29] პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ტერმინები „პირადი ან ოჯახური“ მიემართება იმ პირის საქმიანობას, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს და არა იმ პირს, რომლის

---

[22] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[23] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) პრაქტიკის მიხედვით, როდესაც იურიდიული პირის ოფიციალური სახელწოდება ერთი ან მეტი ფიზიკური პირის იდენტიფიცირებას ახდენს, იურიდიულ პირს შეუძლია მასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვა მოითხოვოს. იხ. *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 111.

[24] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 140.

[25] Convention for the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data (Convention 108+), Article 3 (2), 2018, <https://rm.coe.int/convention-108-convention-for-the-protection-of-individuals-with-regar/16808b36f1> [21.02.2024].

[26] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[27] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[28] *Gloria González Fuster, Rosamunde Van Brakel, Paul De Hert (eds.),* Research Handbook on Privacy and Data Protection Law, Values, Norms and Global Politics, 2022, 18.

[29] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო 2009 წლის დეკემბრამდე ცნობილი იყო, როგორც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (“ECJ”). იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 11.

მონაცემებიც მუშავდება.[30] ამასთან, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გენერალური ადვოკატის მოსაზრების მიხედვით, „პირადი“ საქმიანობა მჭიდროდ და ობიექტურად არის დაკავშირებული ინდივიდის პირად ცხოვრებასთან და იგი არ ლახავს სხვათა პირად სფეროს. თუმცა, ამგვარი აქტივობები შეიძლება საცხოვრებელი სივრცის გარეთ განხორციელდეს. „ოჯახური“ საქმიანობა დაკავშირებულია ოჯახურ ცხოვრებასთან და ჩვეულებრივ ხდება პირის სახლში ან ოჯახის წევრებთან გაზიარებულ სხვა სივრცეებში, როგორიცაა მეორე სახლები, სასტუმროს ნომრები ან კერძო მანქანები. ყველა ასეთ საქმიანობას კავშირი აქვს პირადი ცხოვრების დაცვასთან.[31]

მოდერნიზებული 108-ე კონვენციის განმარტებით ბარათში მოცემულია განსახილველი ცნების ერთგვარი განმარტება: *„პირადი ან ოჯახური საქმიანობა არის საქმიანობა, რომელიც მჭიდროდ და ობიექტურად არის დაკავშირებული ფიზიკური პირის პირად ცხოვრებასთან და მნიშვნელოვნად არ ხელყოფს სხვების პირად სფეროს. მას არ აქვთ რაიმე პროფესიული ან კომერციული ასპექტი და იგი უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ისეთ პირად ან ოჯახურ საქმიანობას, როგორიცაა კომპიუტერში ოჯახის ან პირადი ფოტოების შენახვა, მეგობრებისა და ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი სიის შექმნა, მიმოწერა და ა. შ. პირად სფეროში მონაცემების გავრცელება მოიცავს გაზიარებას ოჯახის წევრებს შორის, მეგობრების შეზღუდულ წრეში ან ლიმიტირებული ზომის წრეში, რომელიც ეფუძნება პირად ურთიერთობას ან განსაკუთრებულ ნდობას.“*[32]

პირადი და ოჯახური საქმიანობის მაგალითები მოყვანილია “GDPR”-ის პრეამბულის მე-18 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, პირადი და ოჯახური საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას და მისამართების შენახვას,[33] სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში აქტივობებს, რომელიც ასეთი საქმიანობის კონტექსტში ხორციელდება.[34] Ryneš-ის საქმეში „CJEU”-ს განმარტების მიხედვით, კორესპონდენციისა და მისამართების ცნობარის წარმოება შესაძლებელია შეფასდეს აშკარად პირად და ოჯახურ საქმიანობად, მაშინაც, კი როდესაც ისინი არაპირდაპირ ეხება ან შეიძლება

[30] CJEU, Case C-25/17, Jehovan todistajat, §41, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=203822&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=8060256> [21.02.2024].

[31] CJEU, Case C- 212/ 13, František Ryneš v Úřad pro ochranu osobních údajů (AG Opinion), §51, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62013CC0212> [21.02.2024].

[32] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §27, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[33] Adv. Prashant Mali, GDPR Articles with Commentary & EU Case Laws, 275.

[34] შეად. Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §29, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

ეხებოდეს სხვა პირთა პირად ცხოვრებას.[35] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, "GDPR"-ის პრეამბულის მე-18 პუნქტში ჩამოთვლილი სხვა საქმიანობებისაგან განსხვავებით, კორესპონდენციისა და მისამართების წარმოება აჩვენებს მოძველებულ და ძალიან ვიწრო სურათს თანამედროვე ინდივიდების პირადი ან ოჯახური მონაცემების დამუშავების შესახებ.[36]

ამასთანავე, პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ცნება შეიძლება განიმარტოს ზოგადი სოციალური მოსაზრებების საფუძველზე და იგი შესაძლოა მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მუშავდება დასვენების, ჰობის, შვებულების ან გასართობი მიზნებისთვის, სოციალური ქსელის გამოყენებისთვის. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს მონაცემები, რომლებიც არის მისამართების, დაბადების დღეებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი თარიღების პერსონალური კოლექციის ნაწილი.[37]

"CJEU"-ს პრეცედენტებიდან (*Lindqvist*-ის და *Ryneš*-ის საქმეები) გამომდინარეობს, რომ პირადი და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის განმარტება უნდა ფარავდეს მხოლოდ ფიზიკური პირის პირადი ან საოჯახო ცხოვრების კონტექსტში განხორციელებულ საქმიანობებს. საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც აშკარად პირადი ან ოჯახური, როდესაც მისი მიზანია შეგროვილი მონაცემების ხელმისაწვდომობა შეუზღუდავი რაოდენობის ადამიანებისთვის ან როდესაც ეს საქმიანობა, თუნდაც ნაწილობრივ, ვრცელდება საჯარო სივრცეზე და შესაბამისად, ამგვარად პასუხისმგებელი პირის პირადი გარემოდან მიმართულია გარეთ.[38]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი მიდგომით, გამონაკლისები, ისევე როგორც ფუნდამენტური უფლებებიდან ყოველგვარი გადახვევა, ვიწროდ უნდა განიმარტოს და დამუშავების ოპერაციები უნდა იყოს „აშკარად" და არა „უბრალოდ" პირადი ან ოჯახური საქმიანობის ნაწილი.[39]

---

[35] CJEU, Case C-212/13, František Ryneš v Úřad pro ochranu osobních údajů, §32, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=48382&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=305437> [21.02.2024].

[36] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 9, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [08.02.2024].

[37] *Paul Voigt, Axel von dem Bussche,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Practical Guide, 2017, 16.

[38] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 68.

[39] CJEU, Case C-25/17, Jehovan todistajat, §40, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=203822&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=8060256> [21.02.2024].

2.3. სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან კავშირი

აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება დაკავშირებული არ უნდა იყოს ფიზიკური პირის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.[40] მსგავსი ჩანაწერი მოცემულია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის კანონმდებლობაშიც, კერძოდ, გამონაკლისი ვერ ამოქმედდება, თუ დამუშავება დაკავშირებულია პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობასთან.[41] ამავდროულად, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ დამუშავება ეხება ერთდროულად როგორც პირად, ასევე ბიზნესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მასზე გამონაკლისი არ გავრცელდება.[42] ბიზნეს საქმიანობა უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად იმისა, არის თუ არა იგი ანაზღაურებადი, ისევე როგორც მოსამზადებელ ღონისძიებებს, როგორიცაა მარკეტინგული აქტივობები ან პერსონალური მონაცემებით ვაჭრობა მომსახურების მისაღებად.[43]

უამრავი ადამიანი იყენებს სოციალურ ქსელებს ან ბლოგებს, მაგალითად, სამუშაო გამოცდილების თაობაზე შეფასებების გასაკეთებლად. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა[44] მოიყვანა მაგალითი, რომლის მიხედვითაც, მაღაზიაში დასაქმებული პირი წერდა ბლოგს მუშაობის ყოველდღიური გამოცდილების შესახებ. მას შესაძლოა ესაუბრა მომხმარებლებსა და პერსონალის სხვა წევრებზე. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი არ დაეთანხმა იმ მიდგომას, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც შესრულებულია ზემოაღნიშნული მიზნისთვის, აუცილებლად უნდა დარჩეს გამონაკლისის მიღმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერ ინტერნეტის მომხმარებელს შეუძლია ბლოგის წაკითხვა.[45]

---

[40] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 3144-XIმს-Xმპ, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[41] GDPR-ის პრეამბულის მე-18 პუნქტი, 2016, <https://pdps.ge/ka/content/993/saerTaSoriso-regulaciebi> [21.02.2024]; Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §27, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[42] *Paul Voigt, Axel von dem Bussche,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Practical Guide, 2017, 16.

[43] იქვე, 16-17.

[44] საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შეიქმნა მონაცემთა დაცვის დირექტივის საფუძველზე და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უწევდა ექსპერტულ კონსულტაციას. 2018 წლის 25 მაისიდან ეს ჯგუფი ჩაანაცვლა მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (“EDPB”), იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 15.

[45] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 8, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.p df> [21.02.2024].

საბოლოო ჯამში, ფიზიკური პირის კავშირი სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან უნდა დადგინდეს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების, ასევე, აღნიშნული ტერმინების საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი განმარტებებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

2.4. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების განმარტებები

➢ ავსტრია

საქმის გარემოებების მიხედვით, "X"-სა და "Y"-ს ჰყავდათ ვაჟი, რომლის მეურვეც განქორწინების შემდეგ "Y" გახდა. განსაკუთრებული საჭიროების გამო, "X"-ის დედა ხშირად ზრუნავდა ბავშვზე. ეროვნული სასამართლოს დადგენილებაში იდენტიფიცირებადი იყო "X"-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები. დადგენილებაში მონაცემთა სუბიექტი მოხსენიებული იყო, მხოლოდ როგორც „ბავშვის მამა" ან „მამა". "Y"-მა აღნიშნული დადგენილება "X"-ის დედას "WhatsApp"-ის მეშვეობით გაუგზავნა. თანდართულ შეტყობინებაში, "Y"-მა მონაცემთა სუბიექტი მისი სახელით მოიხსენია და ეჭვქვეშ დააყენა მისი შვილზე ზრუნვის უნარი. "X"-მა მონაცემთა დაცვის უფლებისა და კონფიდენციალურობის დარღვევის გამო საჩივარი ავსტრიის საზედამხედველო ორგანოში შეიტანა.

საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ პირადი მიზნის და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი, როგორც ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა, ვიწროდ უნდა განიმარტოს. ძირითადი კრიტერიუმი პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობაზე მითითების არარსებობაა. ეს ნიშნავს, რომ გამონაკლისის გამოყენებისთვის საჭიროა, რომ მონაცემთა დამუშავება პირად სფეროს მიეკუთვნებოდეს. საზედამხედველო ორგანომ მიუთითა, რომ ტერმინები - „პირადი" და „ოჯახური", პერსონალური მონაცემების უშუალოდ დამმუშავებელი პირის საქმიანობას ეხება და არა იმ პირს, რომლის მონაცემებიც მუშავდება.

"GDPR"-ში აღნიშნულია, რომ მიმოწერა, სოციალური ქსელის გამოყენება და ონლაინ აქტივობები პირადი ან ოჯახური საქმიანობის კონტექსტში ექცევა, თუმცა, საზედამხედველო ორგანოს განმარტებით, აღნიშნული რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა გაცვლა ხდება დახურულ ჯგუფებში, მომხმარებელთა პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. ისეთი სერვისების ექსკლუზიურად პირადი გამოყენება, როგორიცაა "WhatsApp", გამონაკლისის ფარგლებში ჯდება, იმ პირობით, რომ მას თან არ უნდა ახლდეს პერსონალური მონაცემების ინტერნეტში შეუზღუდავად გამოქვეყნება.

გარდა ამისა, ტერმინი „ოჯახური" არ უნდა განიმარტოს მკაცრად საოჯახო სამართლის თვალსაზრისით. იგი მოიცავს სხვა ურთიერთობებს, რომლებიც საზოგადოების აღქმით „ოჯახია", განურჩევლად ქორწინებისა და ნათესაური კავშირისა. ამ მხრივ,

არარელევანტურია იმის დადგენა, არსებობს თუ არა ფორმალური კავშირი ან პირადი ურთიერთობები აშკარად არაფორმალურ საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში, "WhatsApp"-ის შეტყობინება გაეგზავნა ინდივიდუალურად განსაზღვრულ მიმღებს (და არა განუსაზღვრელი რაოდენობის ადრესატებს ან შეუზღუდავ საჯარო ჯგუფს), პასუხისმგებელ პირსა და მის ყოფილ დედამთილს შორის პირადი და, სულ მცირე, ირიბად ოჯახთან დაკავშირებული მიმოწერის ფარგლებში.[46]

➢ ისლანდია

საქმის გარემოებების მიხედვით, განმცხადებელმა, რომელიც ცხოვრობდა კორპუსში, მეზობლისგან მიიღო ელექტრონული შეტყობინება აუდიოჩანაწერთან ერთად. ჩანაწერი შეიცავდა საკუთარ სახლში განხორციელებულ პირად საუბრებს. განმცხადებელმა ჩანაწერის წაშლა მოითხოვა, მეზობელმა კი ჩანაწერის წაშლაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც მან საზედამხედველო ორგანოს მიმართა. როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, მან ვერ დაადასტურა ჩანაწერების სხვებისთვის გაზიარების ფაქტი. გარდა ამისა, მისი პასუხებიდან ჩანდა, რომ განმცხადებელს და მეზობელს ჰქონდათ დავა, მათ შორის, სახლში აკუსტიკის საკითხის გამო.

საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ მეზობელი არ ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის არცერთ ბრალდებას. თუმცა, დადგინდა, რომ წინამდებარე საქმეში არაფერი მიუთითებდა ჩანაწერების სხვა პირებისთვის მიწოდებაზე. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ განსახილველი ჩანაწერი და მისი გავრცელება გამიზნული იყო მხოლოდ მეზობლის პირადი სარგებლობისთვის, სახლში აკუსტიკის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, აუდიოჩანაწერი და მისი გადაცემა განმცხადებლისათვის პირადი და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის ფარგლებში განხორციელდა.[47]

[46] The Austrian Data Protection Authority (The Datenschutzbehörde), Case No. 2021-0.285.169, 03.05.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=DSB_(Austria)_-_2021-0.285.169> [15.02.2024].

[47] The Icelandic Data Protection Authority (Persónuvernd), Case No. 2022030544, 14.06.2023, <https://gdprhub.eu/index.php?title=Pers%C3%B3nuvernd_(Iceland)_-_2022030544> [21.02.2024].

3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა

"GDPR", მონაცემთა დაცვის დირექტივასთან[48] შედარებით, რომელიც 2018 წლის მაისამდე ევროკავშირის მონაცემთა დაცვის მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტი იყო,[49] უფრო დეტალურ ინსტრუქციებს ითვალისწინებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ ვრცელდება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და რომლებიც გამონაკლისის ფარგლებში ექცევა, თუმცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს GDPR-ის საფუძველზე მსგავს ფაქტებთან დაკავშირებული საქმე ჯერ არ განუხილავს.[50] ამიტომ, წინამდებარე თავში მოცემულია "CJEU"-ს მიერ პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის დირექტივის საფუძველზე განხილული საქმეები. უნდა აღინიშნოს, რომ "CJEU"-ს პრეცედენტული სამართალი და შესაბამისი განმარტებები მონაცემთა დაცვის დირექტივასთან დაკავშირებით ვრცელდება "GDPR"-ით დადგენილ შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებზე.[51]

3.1. *Lindqvist-ის საქმე*

საქმე ეხებოდა შვედურ ინტერნეტგვერდზე პირის მიერ ეკლესიის მოხალისეების შესახებ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას.[52] კერძოდ, შეიცავდა მონაცემებს Lindqvist-ისა და მრევლის სხვა 18 წევრის სახელებისა და გვარების ან მხოლოდ სახელების შესახებ. Lindqvist-მა ასევე იუმორისტულად აღწერა მისი კოლეგების სამუშაო ადგილებისა და მათი ჰობის შესახებ ინფორმაცია. ხშირ შემთხვევაში, ნახსენები იყო ოჯახური გარემოებები, ტელეფონის ნომრები და სხვა საკითხები. მან ასევე გამოაქვეყნა, რომ ერთ-ერთმა კოლეგამ ფეხი დაიზიანა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა.[53] იგი ამტკიცებდა, რომ მასზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან განხორციელებული საქმიანობა იყო არა ეკონომიკური, არამედ საქველმოქმედო და რელიგიური.[54]

---

[48] ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, OJ 1995 L 281.

[49] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 34.

[50] იქვე, 118.

[51] იქვე, 16.

[52] CJEU Fact Sheet, Protection of Personal Data, Judgment of 6 November 2003 (Grand Chamber), Lindqvist (C-101/01, EU:C:2003:596), 14, <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2018-10/fiche_thematique_-_donnees_personnelles_-_en.pdf> [21.02.2024].

[53] ECJ, Case C-101/01, Bodil Lindqvist, §13, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=48382&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=305437> [21.02.2024].

[54] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 67.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ინტერნეტში გამოქვეყნების გზით, იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისთვის, ცალსახად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც პირადი და ოჯახური საქმიანობა.[55]

3.2. *Ryneš*-ის საქმე

საქმის გარემოებების მიხედვით, *Ryneš*-მა საკუთარ სახლზე სათვალთვალო კამერა დაამონტაჟა, განმეორებითი თავდასხმების საპასუხოდ. მორიგი თავდასხმის შემდეგ, კამერის მიერ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ორი ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, რომლებიც შემდგომში სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა ჩეხეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს წინაშე სადავო გახადა სათვალთვალო კამერის მიერ დაფიქსირებული მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხი. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ *Ryneš*-მა დაარღვია პერსონალური მონაცემების დაცვის წესები და იგი დააჯარიმა. ჩეხეთის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეკითხვით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, ექცეოდა თუ არა *Ryneš*-ის მიერ მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით ჩანაწერების გაკეთება პირადი ან ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის ფარგლებში.[56]

"CJEU"-მ განმარტა, რომ ვინაიდან ვიდეოთვალთვალი, თუნდაც ნაწილობრივ, საჯარო სივრცეს (სახლის წინ მდებარე საჯარო ბილიკი) მოიცავდა და, შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება პიროვნების პირადი სივრციდან გარეთ იყო მიმართული, იგი ვერ იქნებოდა აშკარად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული.[57] ამავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესები, როგორიცაა ფიზიკური პირისა და მისი ოჯახის საკუთრების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, როგორც განსახილველ საქმეში.[58]

"CJEU"-მ დაადგინა, რომ CCTV სისტემის გამოყენება, რის შედეგადაც პირთა ვიდეოჩანაწერები უწყვეტად ინახებოდა ჩამწერ მოწყობილობაზე (როგორიცაა მყარი დისკი, რომელიც დამონტაჟებული იყო პირის მიერ საკუთარ საცხოვრებელ სახლში საკუთრების, სახლის მესაკუთრეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის

[55] ECJ, Case C-101/01, Bodil Lindqvist, §47.

[56] CJEU Fact Sheet, Protection of Personal Data, Judgment of 11 December 2014, Ryneš (C-212/13, EU:C:2014:2428), 11, <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2018-10/fiche_thematique_-_donnees_personnelles_-_en.pdf> [21.02.2024].

[57] CJEU, Case C-212/13, František Ryneš v Úřad pro ochranu osobních údajů, §33, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=48382&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=305437> [21.02.2024].

[58] იქვე, §34.

მიზნებისთვის), რომელიც ამავდროულად მონიტორინგს უწევდა საჯარო სივრცეს, არ წარმოადგენდა მონაცემთა დამუშავებას აშკარად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში.[59] აღნიშნული მიდგომით, "CJEU"-მ ხაზი გაუსვა, რომ გამონაკლისები, ისევე როგორც ძირითადი უფლებებიდან ნებისმიერი გადახვევა, ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული.[60]

3.3. *Jehovan todistajat-ის საქმე*

საქმის გარემოებების მიხედვით, ფინეთის მონაცემთა დაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იეჰოვას მოწმეთა საზოგადოებას მისი წევრების მიერ კარდაკარ ქადაგების პროცესში პერსონალური მონაცემების შეგროვებას ან დამუშავებას უკრძალავდა, თუ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ფინეთის კანონმდებლობის მოთხოვნები არ იქნებოდა დაცული. იეჰოვას მოწმეთა თემის წევრები კარდაკარ ქადაგების დროს აკეთებენ შენიშვნებს იმ ადამიანებთან ვიზიტების შესახებ, რომლებიც მათთვის ან საზოგადოებისთვის უცნობი იყო. მონაცემები გროვდებოდა მონაცემთა სუბიექტების ცოდნის ან თანხმობის გარეშე. ჩანაწერების გაკეთების შესახებ მითითებები წევრებს იეჰოვას მოწმეთა საზოგადოებამ მისცა.[61]

სასამართლომ აღნიშნა, რომ კარდაკარ ქადაგება, რომლის დროსაც იეჰოვას მოწმეთა საზოგადოების წევრები პერსონალურ მონაცემებს აგროვებენ, თავისი ბუნებით რწმენის გავრცელებას ისახავდა მიზნად იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მათ რწმენას არ იზიარებდნენ. ამიტომ, ეს საქმიანობა ქადაგებაში ჩართული წევრების პირადი სფეროს გარეთ იყო მიმართული.[62] ამასთანავე, საზოგადოების წევრების მიერ შეგროვებული ზოგიერთი მონაცემი გაეგზავნა ამავე საზოგადოების კონგრეგაციებს, რომლებმაც შეადგინეს იმ პირთა სიები, რომლებსაც აღარ სურდათ საზოგადოების წევრების ვიზიტები. შესაბამისად, ქადაგების დროს, საზოგადოების წევრებმა შეგროვებული მონაცემები პოტენციურად შეუზღუდავი რაოდენობის პირებისთვის გახადეს ხელმისაწვდომი.[63]

სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიური საზოგადოების წევრების მიერ კარდაკარ ქადაგება დაცული იყო რელიგიის თავისუფლებით, როგორც მქადაგებელთა რწმენის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ეს ფაქტი ამ საქმიანობას ექსკლუზიურად პირად ან

---

[59] იქვე, §35.

[60] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 68.

[61] CJEU Fact Sheet, Protection of Personal Data, Judgment of 10 July 2018 (Grand Chamber), Jehovan todistajat (C-25/17, EU:C:2018:551), 16, <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2018-10/fiche_thematique_-_donnees_personnelles_-_en.pdf> [21.02.2024].

[62] CJEU, Case C-25/17, Jehovan todistajat, §44, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=203822&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=8060256> [21.02.2024].

[63] იქვე, §45.

ოჯახურ ხასიათს არ ანიჭებდა. შესაბამისად, ქადაგება სცდებოდა რელიგიური საზოგადოების წევრის პირად სფეროს.[64] საქმეზე სასამართლომ, რომ კარდაკარ ქადაგების პროცესში რელიგიური საზოგადოების წევრების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება და ამ მონაცემების შემდგომი დამუშავება არ ექცეოდა აშკარად პირადი და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში.[65]

3.4. *Buivids-ის საქმე*

საქმის გარემოებების მიხედვით, *Buivids-მა* დაარღვია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა. კერძოდ, მან ინტერნეტ-გვერდზე (www.youtube.com) გამოაქვეყნა მის მიერ გადაღებული ვიდეო, ადმინისტრაციული წარმოების კონტექსტში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული წარმოება ლატვიის ეროვნული პოლიციის განყოფილების მიერ დაკისრებულ ჯარიმას ეხებოდა. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, *Buivids-მა* საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში შეიტანა. იგი გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში ამტკიცებდა, რომ განსახილველ ვიდეოში ჩანდნენ ლატვიის ეროვნული პოლიციის საჯარო მოხელეები - კერძოდ, საჯარო პირები საზოგადოებრივ სივრცეში - რომლებიც, აღნიშნულის საფუძველზე, არ ექცეოდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ფარგლებში.[66]

სასამართლომ აღნიშნა, რომ *Buivids-მა* განსახილველი ვიდეო გამოაქვეყნა ვებსაიტზე, რომელზეც მომხმარებლებს, წვდომის შეზღუდვის გარეშე, შეეძლოთ ვიდეოების გაგზავნა, ყურება და გაზიარება. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ნებადართული იყო განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისთვის. აღნიშნული მიზეზის გამო, მონაცემთა დამუშავება არ ექცეოდა პირადი ან ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის ფარგლებში.

სასამართლომ მიუთითა, რომ ვიდეოს ჩაწერა პოლიციელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ გამორიცხავდა პერსონალური მონაცემების ამგვარ დამუშავებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციების გავრცელებას.[67] ამავე საკითხზე, სასამართლოს გენერალური ადვოკატმა აღნიშნა, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები ისევე

---

[64] იქვე, §§49-50.

[65] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 68-69.

[66] CJEU Fact Sheet, Protection of Personal Data, Judgment of 14 February 2019, Buivids (C-345/17, EU:C:2019:122), 16, <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2018-10/fiche_thematique_-_donnees_personnelles_-_en.pdf> [21.02.2024].

[67] CJEU, Case C–345/17, Sergejs Buivids, §§43-44, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=210766&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=52616> [21.02.2024].

იცავს საჯარო მოხელეებს, როგორც სხვა პირებს. სხვაგვარმა განმარტებამ შეიძლება გამოიწვიოს საზიანო შედეგები, რადგან იგი საჯარო მოხელეებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებთან დაკავშირებით დაუცველს დატოვებს და შეიძლება შეაფერხოს საჯარო სფეროში პერსონალის დაქირავება და შენარჩუნება.[68]

4. სხვადასხვა სფეროებში გამონაკლისის მოქმედება და მისი ფარგლები

4.1. სოციალური მედია

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება ინტერნეტის ფიზიკური პირების მიერ მოხმარება.[69] ხელმისაწვდომობის და დიდი ოდენობით ინფორმაციის შენახვისა და კომუნიკაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებისთვის ახალ ამბებზე წვდომის გაძლიერებასა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობაში.[70] პირადი მიზნის და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის კონტექსტში, ძირითადი სიახლე, რაც ინტერნეტმა და უფრო მძლავრმა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მოიტანა, არის „ჩვეულებრივი“ მოქალაქეების შესაძლებლობა, რომ საკუთარი ან სხვისი პერსონალური მონაცემები მყისიერად გახადონ ყველასათვის ხელმისაწვდომი.[71] სადავოა, პერსონალური მონაცემების ღიად, შეუზღუდავი აუდიტორიისთვის გაზიარება, რა შემთხვევებში შეიძლება მოექცეს გამონაკლისის მოქმედების ფარგლებში.[72]

სოციალური მედიის სერვისების მიმწოდებლები ქმნიან ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმებს, რაც ფიზიკურ პირებს შესაძლებლობას აძლევს, რომ გამოაქვეყნონ და გაცვალონ ინფორმაცია სხვა მომხმარებლებთან. აღნიშნული სერვისის მიმწოდებლები არიან პასუხისმგებელი პირები, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.[73] უნდა აღინიშნოს, რომ “GDPR”-ისა[74] და

---

[68] იქვე, §30.

[69] *Douwe Korff*, The Use of the Internet & Related Services, Private Life & Data Protection: Trends & Technologies, Threats & Implications, T-PD(2013)07Rev, 2013, 2, <https://rm.coe.int/the-use-of-the-internet-related-services-private-life-data-protection-/168073f564> [21.02.2024].

[70] Case of Times Newspapers Ltd (nos. 1 and 2) v. the United Kingdom, ECHR, [2009], Applications nos. 3002/03 and 23676/03, § 27, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-91706> [21.02.2024].

[71] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 3, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

[72] იქვე.

[73] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 1/2010 on the concepts of “controller” and “processor”, 2010, 21, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2010/wp169_en.pdf> [21.02.2024].

[74] “GDPR”-ის პრეამბულის მე-18 პუნქტი.

მოდერნიზებული 108-ე კონვენციის[75] მიხედვით, პირადი მიზნის და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი არ ვრცელდება პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც პირადი ან ოჯახური საქმიანობისათვის ქმნიან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საშუალებებს. შესაბამისად, აღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი გავრცელდება სოციალური მედიის სერვისების მიმწოდებლებზე.

ზემოაღნიშნული მიდგომა შეიძლება განსხვავდებოდეს სოციალური ქსელების მომხმარებლების შემთხვევაში. ხშირად, მომხმარებლები მონაცემთა სუბიექტებად მიიჩნევიან. გამონაკლისის გათვალისწინებით, პირზე, რომელიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს აშკარად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში, პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები არ ვრცელდება. ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, ქსელების მომხმარებელთა საქმიანობა „ოჯახურ“ გამონაკლისში არ თავსდება და ამ დროს, მომხმარებელმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.[76]

4.1.1. დამუშავების მიზანი და ბუნება

„პირადი მიზნის და ოჯახური საქმიანობის“ გამონაკლისის მოქმედების ფარგლების შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია სოციალური ქსელის მომხმარებლის მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და ბუნების შეფასება. სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით მოსაზრებებში, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ მომხმარებლების მიერ ქსელების კონტექსტში (როგორიცაა - Facebook, LinkedIn) მონაცემთა დამუშავება საოჯახო საქმიანობის გამონაკლისის ფარგლებში ჯდება.[77] თუმცა, ფიზიკური პირები სოციალურ მედიას ხშირად იყენებენ კომპანიებთან თანამშრომლობის პლატფორმად. მსგავს შემთხვევებში, როდესაც სოციალური ქსელის მომხმარებელი მოქმედებს კომპანიის ან ასოციაციის სახელით, ან სოციალურ ქსელს იყენებს თავისი კომერციული, პოლიტიკური, საქველმოქმედო მიზნების განხორციელების პლატფორმად, გამონაკლისი არ ამოქმედდება. ასეთ სიტუაციებში, მომხმარებელი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებელი პირის[78] ვალდებულებებს და იგი პერსონალურ მონაცემებს სხვა პასუხისმგებელ პირებსა (სოციალური ქსელი) და მესამე პირებს (სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლები ან შესაძლოა სხვა

---

[75] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §29, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[76] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 5, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [08.02.2024].

[77] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 67-68.

[78] Irish DPA, Guidance for Drivers on the Use of Dash Cams, 2022, <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/2022-05/Guidance%20for%20Drivers%20on%20the%20use%20of%20Dash%20Cams_May2022_0.pdf> [21.02.2024].

პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც ამ მონაცემებზე აქვთ წვდომა) უზიარებს.[79] ამ გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის საჭიროა არსებობდეს შესაბამის პირთა თანხმობა ან სხვა კანონიერი საფუძველი, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.[80]

სამეცნიერო წყაროებში, აღნიშნულია, რომ გამონაკლისის გავრცელებისთვის საჭიროა გადამოწმდეს პერსონალური მონაცემების პოტენციური მიმღებების რაოდენობა.[81] "GDPR"-ის პროექტი თავდაპირველად შეიცავდა დამატებით შეზღუდვას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებზე გამონაკლისი არ გავრცელდებოდა, თუ მონაცემები „ხელმისაწვდომი გახდებოდა ინდივიდების განუსაზღვრელი რაოდენობისთვის". აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებდა "ECJ"-ს გადაწყვეტილებას Lindqvist-ის საქმესთან დაკავშირებით. ეს ჩანაწერი "GDPR"-ის საბოლოო ვერსიაში არ აისახა, თუმცა ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები გამონაკლისის შეფასებისას პრაქტიკაში ამ მიდგომას იზიარებენ. გამონაკლისის Lindqvist-ის საქმის მსგავსი შეზღუდული ინტერპრეტაცია, ტექნოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით, გააკრიტიკა 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა, როგორც „არარეალისტურად ვიწრო ფარგლების მქონე", ვინაიდან მონაცემთა დაცვის დირექტივის მიღების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა კერძო პირების მიერ განხორციელებული მონაცემთა დამუშავების ტიპები. გაუგებარია, რამდენად გაფართოვდება გამონაკლისი "GDPR"-ის პრეამბულის მე-18 პუნქტში სოციალურ ქსელებსა და ონლაინ აქტივობებზე მითითებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივის შემდეგ "GDPR"-ის ფორმულირება არ შეცვლილა, ასევე, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება, მეგობრების უფრო ვიწრო ჯგუფთან შედარებით, შეიძლება გამონაკლისის გამოყენების მიზეზი გახდეს.[82] თუმცა, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა ასევე მიუთითა, რომ ეს თავისთავად არ უნდა იქნეს მიჩნეული გადამწყვეტ ფაქტორად.[83]

ამდენად, როდესაც დამუშავებულ მონაცემებზე (პროფილის მონაცემები, ე.წ. „პოსტები" და „სთორები") მესამე პირთა წვდომა შემოიფარგლება მომხმარებლის მიერ

---

[79] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [21.02.2024].

[80] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 325.

[81] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[82] *Eduardo Ustaran, Hogan Lovells,* European Data Protection Law and Practice, Second Edition, 2019, 118.

[83] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 9, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

არჩეული კონტაქტებით,[84] პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების მოქმედება არ გავრცელდება.[85] თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებლებს შესაძლებელია დამატებული ჰყავდეთ სხვა კონტაქტებიც, რომლებსაც პირადად არ იცნობენ. დიდი რაოდენობის კონტაქტები[86] შესაძლებელია იყოს იმის მინიშნება, რომ „ოჯახური“ გამონაკლისი არ ვრცელდება და შესაბამისად, მომხმარებელი მიიჩნევა პასუხისმგებელ პირად.[87]

4.1.2. პროფილის ინფორმაციაზე წვდომა

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მედიის პლატფორმები უზრუნველყოფდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოსახერხებელ პარამეტრებს, რომლებითაც შესაძლებელია პროფილის მონაცემებზე მესამე პირთა წვდომის შეზღუდვა. ინფორმაციის გაზიარება შეზღუდული რაოდენობის ახლო მეგობრებთან შესაძლებელია „ოჯახური“ გამონაკლისის ფარგლებში ექცეოდეს, რაც გარკვეულწილად სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე დღევანდელ რეალობას ასახავს.[88]

აღნიშნულისგან განსხვავებით, როდესაც პროფილის ინფორმაციაზე წვდომა სცილდება მომხმარებლის მიერ არჩეულ კონტაქტებს,[89] მაგალითად, როდესაც პროფილზე წვდომა აქვს სოციალური ქსელის ყველა მომხმარებელს ან მონაცემების ძებნა ხორციელდება საძიებო სისტემების მეშვეობით, წვდომა სცდება „ოჯახური“ გამონაკლისის ფარგლებს. თუ მომხმარებელი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას, რათა წვდომა გაზარდოს მის მიერ არჩეული „მეგობრების“ მიღმა, მას ეკისრება პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები.[90] ამასთანავე, მოდერნიზებული 108-ე კონვენციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ როდესაც პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომია ბევრი ადამიანისათვის ან იმ პირებისთვის, რომლებიც აშკარად პირადი სფეროს გარეთ ექცევიან, მაგალითად, ინტერნეტში არსებულ საჯარო ვებგვერდზე, აღნიშნული გამონაკლისები არ გავრცელდება.[91] მსგავსი მიდგომა გავრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი

---

[84] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [21.02.2024].
[85] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].
[86] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 68.
[87] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [21.02.2024].
[88] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].
[89] *Eduardo Ustaran, Hogan Lovells,* European Data Protection Law and Practice, Second Edition, 2019, 401.
[90] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].
[91] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §28,

იყენებს სხვა ტექნოლოგიურ პლატფორმებს პერსონალურ მონაცემთა ინტერნეტში[92] გამოსაქვეყნებლად.[93] ამ კონტექსტში, საინტერესოა, *Lindquist-ისა და Satamedia*-ს[94] და საქმეები, რომელთა მიხედვითაც, მონაცემთა დამუშავება ვერ მოექცევა „ოჯახური“ გამონაკლისის ფარგლებში, როდესაც მისი მიზანია შეგროვებული მონაცემების ხელმისაწვდომობა შეუზღუდავი რაოდენობის ადამიანებისთვის.[95]

გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია „ოჯახური“ გამონაკლისი არ ვრცელდებოდეს რაიმე საქმიანობაზე, თუმცა მასზე გავრცელდეს სხვა გამონაკლისები, როგორიცაა ჟურნალისტური, აკადემიური, სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევებში, ბალანსი უნდა დადგინდეს გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.[96]

4.1.3. მომხმარებლების მიერ მესამე პირთა, მათ შორის, არასრულწლოვნების, მონაცემების დამუშავება

„ოჯახური“ გამონაკლისის გამოყენება შეზღუდულია მესამე პირთა უფლებების უზრუნველყოფის საჭიროებით, მეტადრე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან მიმართებით.[97] სოციალური მედიის მომხმარებლებმა უნდა გაიაზრონ, რომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირებზე ინფორმაციის გაზიარებამ შესაძლოა დაარღვიოს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებები.[98]

გამონაკლისის მოქმედების ფარგლებშიც კი (მაგალითად, როდესაც მომხმარებლის პროფილი ხელმისაწვდომია მხოლოდ განსაზღვრული პირებისთვის) მესამე პირების პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი ინტერესების

<https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[92] აღნიშნულ შემთხვევაში, იგულისხმება სოციალური ქსელების გარდა, სხვა მონაცემთა გამოსაქვეყნებელი პლატფორმები ან მომხმარებლის მიერ ადმინისტრირებული პროგრამული უზრუნველყოფა (“self-hosted Software”).

[93] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [21.02.2024].

[94] ECJ, Case C-73/07, Tietosuojavaltuutettu v Satakunnan Markkinapörssi Oy, Satamedia Oy, §44, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf;jsessionid=FFF031E17C5A32370B73E961B40ED779?text=&docid=76075&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=2123324> [21.02.2024].

[95] *Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 68.

[96] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 5/2009 on Online Social Networking, 2009, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2009/wp163_en.pdf> [21.02.2024].

[97] იქვე.

[98] მონაცემთა დაცვის ევრ ოპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 420, <https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-coe-edps-2018-handbook-data-protection_ka.pdf> [21.02.2024].

შელახვა.[99] ამ კონტექსტში, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილავდა, რომ ფიზიკურ პირებს, როდესაც ისინი ამუშავებენ სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს პირადი მიზნით, რაღაც დონეზე კონკრეტული მოთხოვნების შესრულება დაკისრებოდათ, კერძოდ:

- კანონმდებლობით დაკისრებული უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, თუნდაც „მსუბუქად", შესრულება;
- სხვა პირთა წვდომის, გასწორების, „დავიწყების უფლების" გათვალისწინება - მაგალითად, სოციალური ქსელის გვერდიდან მეგობრის შესახებ ინფორმაციის წაშლა, მისი მოთხოვნის შემთხვევაში;
- სხვა პირთა შესახებ დამუშავებული ნებისმიერი ინფორმაციის მონაცემთა დაცვის პრინციპებთან შესაბამისობაში დარწმუნება - მაგალითად, ზუსტი და განახლებული მონაცემების გაზიარებით;
- მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა;
- სხვა პირთა ინფორმირება მათ შესახებ გამოქვეყნებული მონაცემების თაობაზე პრეტენზიის გამოთქმის შესაძლებლობის შესახებ.[100]

ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს ვერ ექნება სავალდებულო ხასიათი,[101] თუმცა სოციალურ ქსელებში ფიზიკური პირების მიერ აქტივობების პირადი მიზნით განხორციელებისას მესამე პირთა ინტერესების დაცვა, შესაძლებელია, კარგი პრაქტიკის სახით დაინერგოს.

მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების მეშვეობით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება. ხშირად, ოჯახები სხვადასხვა ღონისძიებებზე თავიან არასრულწლოვან შვილებს ფოტოებს უღებენ, თუმცა მიზანი მათი გამოქვეყნება და გავრცელება არ არის. ამ ტიპის საქმიანობა ექვემდებარება „ოჯახურ" გამონაკლისს. თუმცა, მსგავსი ფოტო აუცილებლად მოხვდება ზოგიერთი მშობლის სოციალური ქსელის გვერდებზე. "GDPR" ამას მკაცრად არ კრძალავს, კერძოდ, პრეამბულის მე-18 პუნქტში აღნიშნულია, რომ პირადი ან საყოფაცხოვრებო საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს სოციალურ ქსელს. თუმცა, თუ მშობელი ინტერნეტში გამოაქვეყნებს თავისი შვილის ფოტოს, რომელიც ასევე შეიცავს სხვა ბავშვების გამოსახულებას, ხოლო ერთ-ერთი სხვა ბავშვის მშობლისთვის ეს მისაღები არ არის, შესაბამისად ითხოვს ფოტოების წაშლას, აღნიშნული მოთხოვნა უნდა შესრულდეს. მითითებულისგან განსხვავებით, თუ არასრულწლოვნის ფოტოების გადაღება და შემდგომ მათი სოციალური მედიის საშუალებით გავრცელება ხდება სკოლის ორგანიზებით, ამ შემთხვევაში, სკოლა

[99] იქვე.
[100] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 5, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].
[101] იქვე.

მოქმედებს როგორც პასუხისმგებელი პირი და მასზე „ოჯახური“ გამონაკლისი ვერ გავრცელდება.[102] ასეთ შემთხვევაში, ბავშვის მონაცემთა დამუშავებისთვის საჭიროა კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის არსებობა.[103]

4.1.4. საზედამხედველო ორგანოებისა და შიდა სასამართლოების პრაქტიკა

➢ კვიპროსი

ფიზიკურმა პირმა "Facebook"-ზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოაქვეყნა სხვა პირის განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის შესახებ) პერსონალურ მონაცემები. მომჩივანი იდენტიფიცირებადი იყო, ხოლო პოსტი - საჯარო. გადაწყვეტილების გამოტანამდე, საზედამხედველო ორგანომ განიხილა სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა მომჩივნის ჯანმრთელობის საკითხის შემცველი პოსტის წაშლა, მომჩივნის გვარის გაუმჟღავნებლობის ფაქტი და წარსულში ჩადენილი დარღვევების არარსებობა. საქმეზე საზედამხედველო ორგანომ სანქციის სახით ფიზიკურ პირს გაფრთხილება შეუფარდა.[104]

➢ ესპანეთი

საქმის გარემოებების მიხედვით, ფიზიკურმა პირმა საკუთარ ვებსაიტზე გამოაქვეყნა სხვა პიროვნების პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებული იყო მათ სექსუალურ ცხოვრებასთან, მათ შორის, ფოტომასალა. მონაცემთა სუბიექტის საჩივრის საფუძველზე, ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საქმის შესწავლა დაიწყო.

მოპასუხე ამტკიცებდა, რომ ვებსაიტი პირადი იყო, ამიტომ, „ოჯახური“ გამონაკლისი უნდა გამოყენებულიყო. მან ასევე განაცხადა, რომ ვებსაიტზე არ შეიცავდა მონაცემთა სუბიექტის გვარს, ხოლო, სახეები დაფარული იყო. ამასთანავე, მოპასუხის მტკიცებით, მან და მონაცემთა სუბიექტმა 2013 წელს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც თანხმობას აცხადებდნენ სურათების, ფოტოების, ვიდეოების ან მსგავსი შინაარსის გავრცელებაზე.

საზედამხედველო ორგანომ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ საქმეზე პირადი მიზნის ან ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი ვერ იქნებოდა გამოყენებული. Lindqvist-

---

[102] Irish DPA – Data Protection Commission, Taking photos at school events – Where common sense comes into play, <https://www.dataprotection.ie/en/dpc-guidance/blogs/taking-photos-school-events-where-common-sense-comes-play#photos> [21.02.2024].

[103] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

[104] The Commissioner for Personal Data Protection (Επίτροπος Δεδομένων Προσωπικού Χαρακτήρα), Case No. 11.17.001.010.199, 04.05.2023, <https://gdprhub.eu/index.php?title=Commissioner_(Cyprus)_-_11.17.001.010.199> [21.02.2024].

ის, Rynes-ისა და Jehovan todistajat-ის გადაწყვეტილებებზე მითითებით, საზედამხედველო ორგანო ამტკიცებდა, რომ დამუშავება შეიძლება იყოს მხოლოდ პირადი ან შიდა, როდესაც ის მხოლოდ შემთხვევით ახდენს გავლენას მესამე მხარის მონაცემებზე. განსახილველ საქმეში, მონაცემთა დამუშავება არ იყო შემთხვევითი. გარდა ამისა, ვებგვერდი არ იყო დახურული, რადგან მასზე წვდომა ნებისმიერ მესამე მხარეს შეეძლო და, შესაბამისად, მონაცემები განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ამასთანავე, სურათებზე მონაცემთა სუბიექტის ამოცნობა შესაძლებელი იყო, ხოლო, კონტრაქტის მეშვეობით გაცემული თანხმობა არ იყო ნამდვილი.

საზედამხედველო ორგანომ მითითება გააკეთა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური უფლების მიზანია ადამიანების ღირსებისა და უფლებებისთვის საზიანო მონაცემთა დამუშავების თავიდან აცილება. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მოსაზრებით, მოპასუხის მიერ მოწოდებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მონაცემთა სუბიექტი უარს აცხადებდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, არ გააჩნდა რაიმე სახელშეკრულებო ძალა, რადგან ადამიანის ღირსება და მონაცემთა დაცვის უფლება წარმოადგენდა სახელმწიფო წესრიგის საფუძველს, რასაც ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა. ამასთანავე, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, უფლებებზე უარის თქმა არ იყო ნამდვილი, როდესაც იგი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს ან ზიანს აყენებდა ნებისმიერ მესამე მხარეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მოპასუხეს 1500 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრა.[105]

➢ ნიდერლანდები

საქმე დედასა და ქალიშვილს შორის შვილიშვილების ფოტოების გამოქვეყნების შესახებ დავას ეხებოდა. ქალიშვილმა (მოსარჩელე), სამი არასრულწლოვანის დედამ, სასამართლოში სარჩელი შეიტანა ბებიის (მოპასუხის) მიერ მისი შვილების ფოტოების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნების შეწყვეტის შესახებ. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხეს არ მიუღია თანხმობა მისი ან მისი ყოფილი პარტნიორისგან, რომელიც ერთ-ერთი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი იყო.[106]

ნიდერლანდების პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელა საქმეზე პირადი და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის გავრცელების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელების პირად გვერდებზე ფოტოების განთავსება შესაძლებელია გამონაკლისში ექცეოდეს, სასამართლოს წინასწარი მოსაზრებით, საკმარისად ვერ

[105] The Agencia Española de Protección de Datos ("AEPD"), Case No. PS/00410/2020, 17.06.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=AEPD_(Spain)_-_PS/00410/2020> [21.02.2024].
[106] The District Court of First Instance of Gelderland, Case No. C/05/368427/KG ZA 20-106, 13.05.2020, <https://gdprhub.eu/index.php?title=Rb._Gelderland_-_C/05/368427> [21.02.2024].

დადგინდა, თუ რა სახის კონფიდენციალურობის პარამეტრებით იყო შექმნილი და დაცული მოპასუხის “Facebook”-ისა და “Pinterest”-ის ანგარიშები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გაურკვეველი იყო, შეიძლებოდა თუ არა ფოტოების მოძიება ისეთი საძიებო სისტემის გამოყენებით, როგორიცაა “Google”. ასევე, “Facebook”-თან დაკავშირებით ვერ დადგინდა, რომ ფოტოები შეიძლება გავრცელებულიყო და მესამე პირების ხელში აღმოჩენილიყო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ შეუძლებელი იყო დაზუსტებით იმის დადგენა, რომ ფოტოების განთავსება სოციალურ მედიაში ექვემდებარებოდა „ოჯახურ“ გამონაკლისს “GDPR”-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “c” ქვეპუნქტის შესაბამისად.[107]

➢ ისლანდია

საქმის გარემოებების მიხედვით, არასრულწლოვნის მშობელმა (“A”) საჩივარი შეიტანა ისლანდიის საზედამხედველო ორგანოში ბავშვის ფოტოების “Facebook”-ზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მეორე მშობლისა (“B”) და მესამე პირის “Facebook”-ზე. ფოტოები გამოქვეყნდა “A”-ს მიმართ ცილისმწამებლურ კომენტარებთან ერთად, “A”-სა და “B”-ს შორის ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებული დავის გამო. “A” სურდა ფოტოების “Facebook”-დან წაშლა.

საქმის განხილვის ფარგლებში, ისლანდიის საზედამხედველო ორგანომ გამოიკვლია პროცესის ყველა მონაწილის, მათ შორის, ბავშვის, მოსაზრებები. ბავშვმა აღიარა, რომ ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ კონტაქტი მეორე მშობელთან არ ჰქონია, თუმცა მისთვის უმჯობესი იყო ფოტოების “Facebook”-დან წაშლა.

საქმეზე ისლანდიის საზედამხედველო ორგანომ შეაფასა, პერსონალური მონაცემების ამგვარი დამუშავება ექცეოდა თუ არა ოჯახურ გამონაკლისში. მან აღნიშნა, რომ გამონაკლისი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დახურულ სოციალური მედიის ანგარიშებზე პერსონალური მონაცემების გაზიარებასთან დაკავშირებით, თუ იგი მიმართულია კერძო სფეროსკენ (ანუ ანგარიშები, რომლებიც მოიცავს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პირებს და არ არის მიმართულია ფართო საზოგადოებისკენ). ჩატარებული შემოწმების საფუძველზე გაირკვა, რომ ბავშვის ფოტოები ხელმისაწვდომი იყო “Facebook”-ის ყველა მომხმარებლისთვის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამდენად, საზედამხედველო ორგანომ გამონაკლისი არ გაავრცელა აღნიშნულ საქმეზე. თუმცა, ვინაიდან მოცემულ საქმეში ერთმანეთს უპირისპირდებოდა გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ მას არ გააჩნდა მბოჭავი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საზედამხედველო

[107] <https://www.fff-legal.com/the-household-exemption-in-gdpr/> [21.02.2024].

ორგანომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, რადგან საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა.[108]

➢ ავსტრია

"Facebook"-ის ჯგუფის ადმინისტრატორის მიერ მონაცემთა დამუშავება

საქმის გარემოებების მიხედვით, მონაცემთა სუბიექტი და (სავარაუდო) პასუხისმგებელი პირი იყვნენ ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ "Facebook"-ს. პასუხისმგებელი პირი "Facebook"-ის რამდენიმე ჯგუფის ადმინისტრატორი იყო, ხოლო მონაცემთა სუბიექტი შეუერთდა ერთ-ერთ მის ჯგუფს. მონაცემთა სუბიექტი და პასუხისმგებელი პირი ჩაერთნენ "Facebook"-ის ე.წ. „ჩატში", რომელსაც პასუხისმგებელმა პირმა გადაუღო ე.წ. „სქრინშოთი" და გაუზიარა მონაცემთა სუბიექტის ყოფილ მეგობარ ბიჭს. აღნიშნულის გამო, მონაცემთა სუბიექტმა შეიტანა საჩივარი ავსტრიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში, რომელიც, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ საქმეზე "GDPR" არ ვრცელდებოდა, რადგან შესაბამისი ონლაინ აქტივობები არ იყო საჯარო.

ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, საქმის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ საზედამხედველო ორგანომ ვერ შეაფასა, ვრცელდებოდა თუ არა საქმეზე "GDPR"-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "c" ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისი. კერძოდ, საზედამხედველო ორგანომ ვერ შეაფასა იყო თუ არა პასუხისმგებელი პირის, როგორც "Facebook"-ის რამდენიმე ჯგუფის ადმინისტრატორის საქმიანობა, აშკარად პირადი თუ სამეწარმეო საქმიანობის ნაწილი. შედეგად, სასამართლომ საზედამხედველო ორგანოს ფაქტების ხელახლა გამოკვლევა და შეფასება დაავალა.[109]

"Facebook"-ის მომხმარებლების სტატუსის შეფასება

ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ შეაფასა "Facebook"-ის მომხმარებლების სტატუსი, კერძოდ, ისინი წარმოადგენდნენ მონაცემთა სუბიექტებს თუ პასუხისმგებელ პირებს.

პირველ რიგში, სასამართლომ დაადგინა, რომ "GDPR"-ით გათვალისწინებული „ოჯახური" გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ "Facebook"-ის დახურულ გვერდებზე. გამონაკლისი გულისხმობს „პირადი" ან „ოჯახური" საქმიანობის განხორციელებას. "GDPR"-ის პრეამბულის მე-18 პუნქტი ცალსახად აღნიშნავს სოციალური ქსელების და ონლაინ აქტივობების გამოყენებას ასეთი გამონაკლისის კონტექსტში. აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს ფიზიკური პირებისთვის ზედმეტი ტვირთის თავიდან

---

[108] The Icelandic Data Protection Authority (Persónuvernd), Case No. 2020010552, 17.11.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=Pers%C3%B3nuvernd_(Iceland)_-_no._2020010552> [21.02.2024].

[109] The Federal Administrative Court in Austria (Bundesverwaltungsgericht – "BVwG"), Case No. W274 2243175-1, 06.12.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=BVwG_-_W274_2243175-1> [21.02.2024].

აცილებას. სახელმწიფოს მარეგულირებელი უფლებამოსილება უნდა დასრულდეს იქ, სადაც მონაცემები მუშავდება პირადი სფეროს ფარგლებში და შესაბამისად, პიროვნების ზოგადი უფლებების განხორციელებისას. ტერმინი „აშკარად“ კი მიანიშნებს, რომ შერეული ანუ პირადი და პროფესიული გამოყენება "GDPR"-ის მოქმედების სფეროში ექცევა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური ქსელების გამოყენება გამონაკლისს ექვემდებარება, თუ ის შემოიფარგლება მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფით. გამონაკლისი არ ვრცელდება, როგორც კი მონაცემები ონლაინ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება. შესაბამისად, გამონაკლისი "Facebook"-ის საჯარო გვერდებზე არ ვრცელდება. უზენაესი სასამართლოს განმარტება შეესაბამება "CJEU"-ს პრეცედენტულ სამართალს. აღნიშნულ ინტერპრეტაცია გამომდინარეობს "GDPR"-ის საკანონმდებლო ისტორიიდანაც. ევროპარლამენტს სურდა განემარტა, რომ პირადი და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებდა, თუ მიმღებთა წრე შეზღუდული იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საბოლოოდ არ გახდა რეგულაციის ტექსტის ნაწილი, კანონმდებლის განზრახვა მაინც ნათელი გახდა.

დამატებით, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ "Facebook"-ზე ატვირთულ საკუთარ მონაცემებთან დაკავშირებით, იგი იყო როგორც პასუხისმგებელი პირი, ასევე, მონაცემთა სუბიექტი. კერძოდ, როდესაც იგი ამუშავებდა მესამე მხარის მონაცემებს (მაგალითად, ფოტოს გამოქვეყნებით, რომელშიც მესამე მხარე ჩანს) პასუხისმგებელი პირი გამოდიოდა. ხოლო, მისი განცხადებით, "Facebook" ორივე შემთხვევაში უფლებამოსილი პირი იყო.

სასამართლომ დაასკვნა, რომ სოციალური ქსელის, როგორიცაა "Facebook", უბრალოდ გამოყენება, მომხმარებელს პასუხისმგებელ პირად თავისთავად არ აქცევს. ეს არგუმენტი გამართლებულია იმ ფაქტით, რომ "Facebook"-ის ნებისმიერი მომხმარებელი აპლიკაციას საშუალებას არ აძლევს, მოიპოვოს მომხმარებლის შესახებ დიდი რაოდენობის მონაცემები. სასამართლომ აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, "Facebook"-ის ყველა მომხმარებელი პასუხისმგებელი პირი იქნებოდა, რაც არ შეიძლება თავსებადი ყოფილიყო "GDPR"-ის მიზნებთან.[110]

4.2. ვიდეომონიტორინგი

4.2.1. გამონაკლისის განმარტება ვიდეომონიტორინგის კონტექსტში

ფიზიკური პირის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელება თავისთავად არ ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესებს.[111] ფიზიკური პირები უნდა შეეცადონ, რომ თავიანთი ვიდეოკამერები მეზობლების სახლებისა თუ ბაღების,

[110] The Supreme Court of Austria (Oberster Gerichtshof – "OGH"), Case No. 6Ob56/21k, 21.07.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=OGH_-_6Ob56/21k> [21.02.2024].

[111] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=0> [21.02.2024].

საერთო ან საზოგადოებრივი სივრცეებისკენ არ მიმართონ. თუმცა, ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის.[112] ვიდეომონიტორინგის კონტექსტში პირადი და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული. „ოჯახური გამონაკლისი“ იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ დაკავშირებული იყოს მხოლოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებთან, რაშიც არ იგულისხმება პერსონალურ მონაცემთა შემდგომი დამუშავება ინტერნეტში გამოქვეყნებით, როდესაც აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება პირთა განუსაზღვრელი წრისთვის.[113] მეტიც, ვიდეოკამერის სისტემის ფუნქციონირება, რის შედეგადაც პირთა ვიდეოჩანაწერები ინახება უწყვეტად ჩამწერ მოწყობილობაზე, მაგალითად, მყარ დისკზე, რომელიც საკუთრების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით დამონტაჟებულია პირის მიერ საკუთარ ან მისი ოჯახის საცხოვრებელ სახლზე, თუმცა, ასევე, თუნდაც ნაწილობრივ, ფარავს საჯარო სივრცეს და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება მიმართულია პიროვნების პირადი სივრციდან გარეთ, არ წარმოადგენს აშკარად პირად ან ოჯახურ საქმიანობას.[114]

რაც შეეხება კერძო პირის უძრავ ქონებაში განთავსებულ ვიდეოკამერებს, იგი შეიძლება მიეკუთვნებოდეს „ოჯახურ“ გამონაკლისს. აღნიშნული დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე. გარდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითებული ზემოაღნიშნული ელემენტებისა, მნიშვნელოვანია დადგინდეს შემდეგი საკითხები:

- ✓ საცხოვრებელ სახლში ვიდეო მეთვალყურეობის გამომყენებელ პირსა („პასუხისმგებელი პირი“) და მონაცემთა სუბიექტს ხომ არ აქვთ რაიმე სახის პირადი ურთიერთობა;
- ✓ პასუხისმგებელი პირის მიერ მეთვალყურეობის განხორციელების მასშტაბი და სიხშირე მიუთითებს თუ არა მისი მხრიდან რაიმე სახის პროფესიულ აქტივობაზე;
- ✓ მეთვალყურეობის შესაძლო უარყოფითი გავლენა მონაცემთა სუბიექტზე.

ზემოაღნიშნული რომელიმე ელემენტის არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ დამუშავება „ოჯახური“ გამონაკლისის ფარგლებს გარეთაა. გამონაკლისის ფარგლების განსაზღვრისათვის საერთო შეფასებაა საჭირო,[115] რასთან დაკავშირებითაც მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ („EDPB“) მოიყვანა რამდენიმე მაგალითი:

---

[112] <https://ico.org.uk/for-the-public/domestic-cctv-systems/> [21.02.2024].

[113] EDPB, Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data through Video Devices, Version 2.0, 2020, §12, <https://edpb.europa.eu/our-work-tools/our-documents/guidelines/guidelines-32019-processing-personal-data-through-video_en> [21.02.2024].

[114] Council of Europe Treaty Series - No. 223, Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 10.X.2018, §28, <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a> [21.02.2024].

[115] EDPB, Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data through Video Devices, Version 2.0, 2020, §13, <https://edpb.europa.eu/our-work-tools/our-documents/guidelines/guidelines-32019-processing-personal-data-through-video_en> [21.02.2024].

- ☐ არდადეგების აღბეჭდვის მიზნით, ტურისტმა გადაიღო ვიდეოები თავისი მობილური ტელეფონითა და ვიდეოკამერით. მან ჩანაწერები თავის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს აჩვენა, თუმცა ხელმისაწვდომი არ გაუხდია განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისთვის. ეს მაგალითი მოექცევა „ოჯახურ“ გამონაკლისში;
- ☐ პირს სურდა დაღმართზე ველოსიპედით თავისი ჩასვლა შესაბამისი კამერით გადაეღო. იგი მოძრაობდა მოშორებულ ტერიტორიაზე და თავისი ჩანაწერის გამოყენებას გეგმავდა სახლში, პირადი გართობისთვის. აღნიშნული მაგალითი ასევე მოექცევა „ოჯახურ“ გამონაკლისში, მიუხედავად იმისა, გარკვეულწილად დამუშავდება თუ არა პერსონალური მონაცემები;
- ☐ პირი თვალყურს ადევნებდა და იღებდა საკუთარ ბაღს. საკუთრება შემოღობილი იყო და მხოლოდ პასუხისმგებელი პირი და მისი ოჯახის წევრები შედიოდნენ ბაღში რეგულარულად. აღნიშნული მაგალითიც მოექცევა „ოჯახურ“ გამონაკლისში, იმ პირობით, რომ ვიდეო მეთვალყურეობა ნაწილობრივაც კი არ უნდა ვრცელდებოდეს საჯარო სივრცეზე ან მეზობლის საკუთრებაზე.[116]

ვიდეომონიტორინგის კონტექსტში ასევე აქტუალურია ავტომობილის ვიდეო რეგისტრატორების (ე.წ. „dash cams”) გამოყენება. არსებობს გარეთ ან უკან მიმართული რეგისტრატორები და მათი მეშვეობით შესაძლებელია გზის წინა ნაწილის ან/და ავტომობილის მგზავრებისთვის ვიდეოგადაღება. რეგისტრატორების მომხმარებლებმა უნდა შეაფასონ მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ჩანაწერის ბუნება/მასშტაბი, ასევე, ექვემდებარება თუ არა იგი „პირადი მიზნის“ გამონაკლისს თუ მასზე ვრცელდება მონაცემთა დაცვის წესები.[117]

როდესაც რეგისტრატორები გამოიყენება კომერციულ კონტექსტში (როგორიცაა პროფესიონალი მძღოლების, ტაქსების, ავტობუსების კომპანიების მხრიდან მათი გამოყენება), ამგვარ მონაცემთა დამუშავებაზე „პირადი მიზნის“ გამონაკლისი არ გავრცელდება. ამ შემთხვევაში, რეგისტრატორების ოპერატორებმა, მათ შორის, მძღოლებმა, დამსაქმებლებმა ან რეგისტრატორების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, უნდა გაითვალისწინონ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ვალდებულებები.[118] ამასთანავე, მათ, ვინც კამერას საჯარო სივრცეში იყენებს, უნდა იცოდეს, რომ კადრების გამოქვეყნება, მაგალითად, სოციალური მედიის პლატფორმებზე, შეიძლება წარმოადგენდეს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას და შეიძლება დაარღვიოს კადრში მოხვედრილი პირების მონაცემთა დაცვის უფლებები.[119] ავტომობილების ვიდეო რეგისტრატორებთან დაკავშირებით, „EDPB“ მოიყვანა მაგალითი: თუ რეგისტრატორი

---

[116] იქვე, §14.

[117] Irish DPA, Guidance for Drivers on the Use of Dash Cams, 2022, 1, <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/2022-05/Guidance%20for%20Drivers%20on%20the%20use%20of%20Dash%20Cams_May2022_0.pdf> [21.02.2024].

[118] იქვე, 2.

[119] იქვე, 3.

დაყენებულია, მაგალითად, სატრანსპორტო შემთხვევაში მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ეს კამერა მუდმივად არ აფიქსირებს მოძრაობას, ასევე, გზასთან ახლოს მყოფ პირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავარიის თეორიული შესაძლებლობისას მტკიცებულების სახით ვიდეოჩანაწერის არსებობის ინტერესი ვერ გაამართლებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებში ამგვარ მძიმე ჩარევას.[120]

4.2.2. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა

➢ უნგრეთი

საქმის გარემოებების მიხედვით, საცხოვრებელი კომპლექსის ბინის დამქირავებელი აცხადებდა, რომ სხვა მოიჯარის მიერ კომპლექსში დაყენებული კამერით[121] უკანონოდ მუშავდებოდა მისი პერსონალური მონაცემები, რადგან იგი ნაწილობრივ შენობის საჯარო სივრცისკენ იყო მიმართული. მოპასუხე მხარეები ამტკიცებდნენ, რომ კამერა გამოიყენებოდა მათი ნივთების, როგორიცაა კარი და გაზის/ელექტროენერგიის მრიცხველები, დაცვის მიზნით და ამიტომ მონაცემთა დამუშავებისთვის გააჩნდათ „ლეგიტიმური ინტერესის“ სამართლებრივი საფუძველი "GDPR"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "f" ქვეპუნქტის შესაბამისად. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კამერის ჩანაწერები ყოველდღიურად იშლებოდა.

უნგრეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ "GDPR"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "f" ქვეპუნქტის შესაბამისად, „ლეგიტიმური ინტერესის“ სამართლებრივი საფუძველი შეიძლება მართლაც გამოიყენებოდეს კერძო საკუთრების დაცვისთვის, მათ შორის, შეზღუდულ გარემოებებში საჯარო სივრცეების მონიტორინგისთვის, როგორც ეს აღნიშნულია ვიდეო მოწყობილობების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ "EDPB"-ის სახელმძღვანელოს 27-ე პუნქტში. მიუხედავად ამისა, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის ამ საქმეში გამოყენება არ იყო მართებული, რადგან კამერის კუთხე ასევე აფიქსირებდა ტერიტორიებს, რომლებიც არ იყო რელევანტური კერძო საკუთრების დაცვის მიზნით და შესაბამისად, მოპასუხის მოქმედებები არ აკმაყოფილებდა აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. გარდა ამისა, საზედამხედველო ორგანომ მითითება გააკეთა "CJEU"-ს Ryneš-ის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგინდა, რომ გამონაკლისი უნდა განიმარტოს ვიწროდ და იგი არ ვრცელდება საჯარო სივრცეების ვიდეომეთვალყურეობაზე.

[120] EDPB, Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data through Video Devices, Version 2.0, 2020, §34, <https://edpb.europa.eu/our-work-tools/our-documents/guidelines/guidelines-32019-processing-personal-data-through-video_en> [21.02.2024].

[121] ე.წ. „მოძრაობის დეტექტორი“ კამერა (motion-detecting camera).

საზედამხედველო ორგანომ მოპასუხეს კამერის ხედვის არეალის შეზღუდვა, იმავე შედეგის მისაღწევად გამოსახულების დაფარვის ტექნოლოგიების გამოყენება, კამერის მდებარეობის შეცვლა ან საერთოდ ვიდეომონიტორინგის შეწყვეტა დაავალა.[122]

➢ ისლანდია

ისლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ კორპუსში ელექტრონულ მონიტორინგთან დაკავშირებით საჩივარი მიიღო. საჩივარში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული იყო, რომ მის მეზობელს, ამავე კორპუსის მაცხოვრებელს, ბინის ფანჯრებსა და მანქანაში უამრავი კამერა ჰქონდა დაყენებული, რომლებიც მომჩივნის პარკინგის ადგილისა და ბინის საძინებლის ფანჯრისკენ იყო მიმართული. მან კამერების დაუყოვნებლივ მოხსნა მოითხოვა. გარდა ამისა, მეზობელმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, მომჩივნის თანხმობის გარეშე, სოციალურ ქსელში გაავრცელა.

საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დამუშავება არ შეიძლება მიჩნეულიყო მხოლოდ პასუხისმგებელი მხარის პირადი ინტერესების საგნად ან გამიზნული ყოფილიყო მისი პირადი გამოყენებისთვის. საზედამხედველო ორგანოს ინფორმაციით, პასუხისმგებელმა მხარემ ვერ შეძლო მოსალოდნელი საფრთხის დემონსტრირება მისთვის ან მისი ქონებისთვის, ასევე, ვერ დაადასტურა მისი კერძო საკუთრების მიღმა არსებული სივრცეების მონიტორინგის აუცილებლობა. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ პასუხისმგებელ პირს საერთო სივრცისა და სხვა მაცხოვრებლების კერძო საკუთრების ყოველგვარი მონიტორინგის თავშეკავებისკენ მოუწოდა, ასევე, შეგროვებული მასალებისა და სოციალურ მედიაში განთავსებული შინაარსის წაშლა დაავალა.[123]

5. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლების გამოვლენის კრიტერიუმები

მონაცემთა დამუშავების ბუნების შეფასება და კონკრეტულ შემთხვევებზე გამონაკლისის გავრცელების საკითხის შესწავლა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებაში შედის.[124] პრაქტიკაში პირადი

---

[122] The Hungarian National Authority for Data Protection and Freedom of Information (*Nemzeti Adatvédelmi és Információszabadság Hatóság*), Case No. NAIH-4177-……./2021, 13.09.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=NAIH_(Hungary)_-_NAIH-4177-%E2%80%A6%E2%80%A6%E2%80%A6./2021> [21.02.2024].

[123] The Icelandic Data Protection Authority (Persónuvernd), Case No. 2020010548, 17.12.2020, <https://gdprhub.eu/index.php?title=Pers%C3%B3nuvernd_-_2020010548> [21.02.2024].

[124] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or

მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის გამოვლენა სულ უფრო მეტად რთულდება. აღნიშნულ საკითხზე, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ აშკარად პირადი ან ოჯახური მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს შიდა კანონმდებლობის ძირითადი დებულებებიდან. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ასევე უნდა იძლეოდეს ნათელ სახელმძღვანელო მითითებებს, რათა იგი დაეხმაროს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გამონაკლისის ფარგლების განსაზღვრაში. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა ასევე განაცხადა, რომ საზედამხედველო ორგანოების მიერ საკითხის შესწავლის უფლებამოსილება უნდა ვრცელდებოდეს პერსონალურ მონაცემთა ყოველგვარ დამუშავებაზე, რათა მან ჩაატაროს საქმის სრულყოფილი შესწავლა, როდესაც დამუშავება გარკვეული მიზეზების გამო პრობლემური იქნება და გამონაკლისის გავრცელების საკითხი არ იქნება ნათელი.[125]

მნიშვნელოვანია, რომ 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პირადი მიზნის ან ოჯახური საქმიანობის გამონაკლისის გამოვლენის კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებიდან ცალკე აღებული, არცერთი არ არის განმსაზღვრელი. თუმცა, ქვემოთ მოცემული ფაქტორების კომბინაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის შესაფასებლად, ესა თუ ის დამუშავება ჯდება თუ არა გამონაკლისის კონტექსტში:

- ✓ ვისთვის ხდება პერსონალური მონაცემების გავრცელება? პირთა განუსაზღვრელი წრისთვის თუ მეგობრებით, ოჯახის წევრებით, ნაცნობებით შემოსაზღვრული საზოგადოებისთვის?
- ✓ ხომ არ ეხება პერსონალური მონაცემები ისეთ ფიზიკურ პირს, რომელსაც ინფორმაციის გამავრცელებელთან არ აკავშირებს პირადი ან ოჯახური ურთიერთობა?
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მასშტაბი და სიხშირე ხომ არ მიუთითებს პროფესიულ ან სრულგანაკვეთიან საქმიანობაზე?
- ✓ ხომ არ არსებობს მტკიცებულება, რომ რამდენიმე პირი მოქმედებდა კოლექტიურად და ორგანიზებულად?
- ✓ ხომ არ არსებობს შესაძლო უარყოფითი გავლენა მესამე პირებზე, მათ შორის, მათ პირად ცხოვრებაში ჩარევით?

ეს კრიტერიუმები განსაკუთრებით გამოსადეგია შესწავლის პროცესის საწყის ეტაპზე, როდესაც (მაგალითად, საჩივრის მიღების შემდეგ) საზედამხედველო ორგანოს სჭირდება, რომ ობიექტურად და ზუსტად განსაზღვროს კონკრეტულ საქმეზე პირადი ან საოჯახო საქმიანობის გავრცელების ფარგლები.[126]

Household Activities, 2013, 5, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

[125] იქვე, 1.

[126] იქვე, 4.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, პრაქტიკაში, დამკვიდრებულია სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის შეფასების დროს გამოიყენება:

- ☐ უნდა შეფასდეს დამუშავების სივრცე, კერძოდ, აქტივობები, რომლებიც კერძო სივრცეში მიმდინარეობს, შეიძლება „პირადად“ იქნეს მიჩნეული. საჯარო ადგილებთან ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებსაიტებთან დაკავშირებით გამონაკლისი არ გამოიყენება;
- ☐ აქტუალურია მონაცემთა დამუშავების სოციალური ასპექტი. უნდა შეფასდეს ურთიერთობა მონაცემთა დამუშავების განმახორციელებელ ფიზიკურ პირსა და მონაცემთა სუბიექტებს, ასევე იმ ჯგუფს შორის, რომლებსაც წვდომა აქვთ პერსონალურ მონაცემებზე;
- ☐ უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი პირის მიერ დასახული მიზანი. “GDPR”-ის პრეამბულის მე-18 პუნქტის თანახმად, განხორციელებულ საქმიანობა არ უნდა იყოს „პროფესიული“ ან „ეკონომიკური“. შესაბამისად, თუ საქმიანობის მიზანია „პროფესიული“ ან „ეკონომიკური“, მასზე გამონაკლისი არ გავრცელდება.

აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით, უნდა გადამოწმდეს პერსონალური მონაცემების პოტენციური მიმღებების რაოდენობა, რათა დადგინდეს გამონაკლისის გავრცელების საკითხი.[127]

6. პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები შესაძლებელია არ ვრცელდებოდეს მონაცემთა დამუშავებაზე, პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისისა, თუ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების გამო. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებელ პირს შესაძლებელია მაინც დაეკისროს ვალდებულებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გამო საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სხვა დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე, მაგალითად, ცილისწამებისა[128] და ღირსების შელახვის მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე.[129]

---

[127] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[128] Article 29 Data Protection Working Party, Statement of the Working Party on Current Discussions regarding the Data Protection Reform Package, Annex 2 Proposals for Amendments regarding Exemption for Personal or Household Activities, 2013, 10, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/other-document/files/2013/20130227_statement_dp_annex2_en.pdf> [21.02.2024].

[129] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 420.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები. კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლება იმპლემენტირებულია დარგობრივ კანონმდებლობაში. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით დაცულია პირადი არაქონებრივი უფლებები, რაც სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციასაც მოიცავს, რომლითაც შესაძლებელია სხვათა უფლებების დარღვევა.[130] სოციალურ ქსელებში გაზიარებულ ინფორმაციაზე შესაძლებელია საერთოდ არ გავრცელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა,[131] თუმცა სამოქალაქო წესით არაქონებრივი უფლების შელახვისა[132] და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდეს. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.[133]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები არ გავრცელდეს მონაცემთა დამუშავების ყველა ასპექტზე, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით უზრუნველყოფილია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, რაც მოიაზრებს მონაცემთა სუბიექტის სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების არსებობას და მათ უზრუნველყოფას სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

დასკვნა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა, ასევე, პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლების დადგენასთან დაკავშირებული გამოწვევები, ძირითადად, უკავშირდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას და ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის მზარდ მაჩვენებელს. შესაძლებელია ითქვას, რომ პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლების განსაზღვრის შესახებ საერთაშორისო სტანდარტები გარდამავალ ეტაპზეა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა

---

[130] *ლადო ჭანტურია (რედ.),* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, 2017, 112.

[131] GDPRhub, GDPR Commentary, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [21.02.2024].

[132] *ლადო ჭანტურია (რედ.),* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, 2017, 119.

[133] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი, სსმ, 41(48), 22/07/1999.

დამუშავების შესახებ ჯერ-ჯერობით არ უმსჯელია. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ განახლებული დებულებები არც ევროკავშირის ავტორიტეტულ საკონსულტაციო ორგანოებს არ განუმარტავთ. შესაბამისად, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები მიჰყვებიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 1995 წლის დირექტივის[134] მოქმედების პერიოდში დადგენილ პრაქტიკას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მონაცემთა დამუშავების ისეთი შემთხვევები, რომლებზეც პირადი მიზნის ან/და ოჯახური საქმიანობის გამონაკლისი ვრცელდება. ერთი მხრივ, ფიზიკურ პირებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ პირადი მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, აღნიშნულ პროცესში მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისა თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან რაიმე ჩარევის გარეშე. მეორე მხრივ კი, ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებელთა მზარდი რაოდენობისა და დიდი მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო სტანდარტი.

[134] ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, OJ 1995 L 281.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105
ბათუმი, ბაქოს ქუჩა, №48, 6010
ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge

WWW.PDPS.GE